

კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტი მზღვეველსა და დამზღვევს
შორის ურთიერთობაში

მარიამ ნაჭყებია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ნაჭყებია

2022 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტი წარმოადგენს ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის საფუძველს, მათ შორის, სადაზღვევო ურთიერთობის. დამზღვევსა და მზღვეველს შორის არსებული უფლება-მოვალეობები დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე, რაც უნდა გამოვლინდეს ერთმანეთის ინტერესებისადმი კეთილსინდისიერად მოპყრობის ვალდებულებაში.

კვლევის მიზანი: კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტის მნიშვნელობისა და დანიშნულების განსაზღვრა დამზღვევსა და მზღვეველს შორის ურთიერთობაში. ასევე იმ ნორმების მიმოხილვა და წამოჭრა, სადაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ესა თუ ის საკითხი და რომელიც წესრიგდება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, ასევე იმ ნორმების მიმოხილვა, რომლის დაცვის აუცილებლობას შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს თავად კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტიც კი.

მეთოდოლოგია: გამოყენებული კვლევის მეთოდები - ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, შეფასებითი მეთოდი, სასამართლო პრაქტიკა და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

შედეგები: კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება დაზღვევის თავდაპირველ ფორმებშიც არსებობდა, თუმცა ამის მიუხედავად, დღესაც, სადაზღვევო ურთიერთობებში, მისი ზოგადი ხასიათი წარმოქმნის პრობლემებს პრაქტიკაში.

დისკუსია, დასკვნა: კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტის უფრო ცხადად განსაზღვრის საჭიროება. მას უნდა მიენიჭოს იმაზე დიდი მნიშვნელობა, ვიდრე უბრალოდ იმის განსაზღვრა, რომ მხარეები ვალდებულნი არიან განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. იქიდან გამომდინარე, რომ დაზღვევის შესახებ მუხლების დიდი ნაწილი არ არის

კონკრეტულად გაწერილი და დამოკიდებულია მხარეების კეთილსინდისიერად ქცევაზე, უმჯობესი იქნება, თუკი მუხლებშივე მიეთითება ისეთი დათქმები, რომლებიც მხარეებისთვის იქნება კეთილსინდისიერად ქცევისკენ ბიძგის მიმცემი ან შემუშავდეს სადამსჯელო მექანიზმი, იქნება ეს ზიანის ანაზღაურება თუ ხელშეკრულების მოშლა, მათ მიერ აღნიშნული პრინციპის დარღვევის შემთხვევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: კეთილსინდისიერება, მზღვეველი, დამზღვევი, ინფორმირება, სადაზღვევო ინტერესი